

მდინარის ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშების ზოგიერთი თავისებურებანი

გიორგი ბრეგვაძე, ვაჟა ტრაპაიძე

ელ-ფოსტა: giorgi.bregvadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ., 3, თბილისი, 0179, საქართველო

ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშება მდინარის წყლიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი წარმოადგენს განსაზღვრულ პერიოდისათვის აუზში ჩამონადენის ფენის სიმაღლისა და მოსულ ატმოსფერულ ნალექების ჯამის ფარდობას. ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშება იძლევა საშუალებას, რომ გავიგოთ მდინარის აუზში მოსული ატმოსფერული ნალექების რა რაოდენობა ჩაედინება მდინარეში, იხარჯება აორთქლებასა და ფილტრაციაზე. ამასთანავე მიზანშეწონილია ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშება მრავალწლიური პერიოდისათვის, ხოლო მცირე პერიოდისათვის (წლისათვის, სეზონისათვის და თვისათვის) იგი პირობით დახასიათებას იძლევა, რადგანაც აუზში მოსული ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით ზამთრში მოსული მყარი სახით, მდინარეს წყალს მხოლოდ გაზაფხულის სეზონზე აწვდის.

ჩამონადენის კოეფიციენტის თანამედროვე სურათის დადგენისათვის, განხილულია ზოგიერთი მდინარის აუზში არსებული ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები.